ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6191232

ნომერი: AR1926686

თარიღი : 05.10.2022

გაცემის თარიღი : 02.11.2022

გაცნობის თარიღი : 02.11.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 61 , (ნაკვ 5/34);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გეგელაშვილი პ/ნ 59001036692
- ზ.მუზაშვილის ქუჩა N5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 5

ოქტომბერს №AR1926686 განცხადებით მომართა გიორგი გეგელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებით შეთანხმდა №01.18.06.005.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობა/კომპლექსის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 12 მაისიდან 2024 წლის 12 მაისის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 3 ივნისის №4971535 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებაში და ჩანაცვლდა კალენდარული გრაფიკი.
სამსახურის 2022 წლის 9 აგვისტოს №6074266 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, კერძოდ დამხმარე, კომერციულ, საერთო ფართობებთან დაკავშირებით და ჩანაცვლდა -5.00, -2.00, 0.00, +4.30, +40.60 და +43.90 ნიშნულის გეგმები.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად 8571.1 კვ.მ-ის ნაცვლად 7496.0 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 2364.1 კვ.მ-ის ნაცვლად 2319.6 კვ.მ-ის, .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 5388.4 კვ.მ-ის ნაცვლად 5780.7 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 589.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1002.2 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 38523.8 კვ.მ-ის ნაცვლად 38209.0 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ წარმოდგენილ გეგმებზე (+0.00 - +53.80) ხდება ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებაში და საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 7496.0 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 2319.6 კვ.მ., .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 5780.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 1002.2 კვ.მ., საერთო ფართობად - 38209.0 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (სამსახურის 2022 წლის 9 აგვისტოს №6074266 ბრძანების გათვალისწინებით) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით (+0.00 - +53.80 ნიშნულები).
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 და 2022 წლის 9 აგვისტოს №6074266 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.